

სამაგისტრო პროექტი:  
ევროკავშირი და მისი გავლენა ქართულ ბიზნესზე

ნინო ბენდელიანი  
თამარ ვაწაძე  
კესო კვიციანი  
ჯგუფი № 5

*სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის  
ბიზნეს სკოლაში*

პროექტის ხელმძღვანელი: მოწვეული ლექტორი მაკა სამუშია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი (2016 წელი)

# სარჩევი

სარჩევი.....	<b>Error! Bookmark not defined.</b>
აბრევიატურა:.....	iii
აბსტრაქტი .....	1
<b>Abstract</b> .....	2
ლიტერატურის მიმოხილვა:.....	3
შესავალი .....	5
1. ევროკავშირის მიერ საქართველოში განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტები .....	6
2. საქართველო ევროკავშირს შორის დადებული მთავარი შეთანხმებები და ხელშეკრულებები.....	11
2.1 აღმოსავლეთის პარტნიორობა .....	12
2.1.1 აღმოსავლეთ პარტნიორობა და საქართველო.....	14
2.2 ასოცირების შესახებ ხელშეკრულება .....	15
3. DCFTA.....	21
3.1 რას იძლევა DCFTA?.....	24
3.2 DCFTA-ის სარგებელი საქართველოსთვის .....	26
4. ევროინტეგრაციის პროცესის ორი მხარე (ეკონომიკის ექსპერტების და პოლიტოლოგების შეფასებები).....	27
5. ევროკავშირის ინსტიტუტის მიმართ მოლოდინები, საფრთხეები და ქართველი მოსახლეობის ინფორმირებულობა.....	30
6. ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილება და რჩევები საქართველოს.....	32
7. საქართველო ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების ზოგადი მიმოხილვა- შეფასება (ბოლო წლები) .....	35

<b>8.</b>	<b>კვლევის მეთოდოლოგია და შედეგები.....</b>	<b>40</b>
	<i>8.1 კვლევის ანალიზი.....</i>	<i>41</i>
	<i>8.2 მონაცემები დიაგრამებით:.....</i>	<i>52</i>
<b>9.</b>	<b>დასკვნები და რეკომენდაციები .....</b>	<b>56</b>
<b>10.</b>	<b>დანართები.....</b>	<b>59</b>
	<i>10.1 კვლევაში მონაწილე კომპანიების ჩამონათვალი.....</i>	<i>59</i>
	<i>10.2 გამოყენებული კითხვარის ფორმატი.....</i>	<i>61</i>
	<b>ბიბლიოგრაფია .....</b>	<b>63</b>

## აბრევიატურა:

**SCAD**-სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ანტინარკოტიკული პროგრამა;

**ENIGMMA** - „მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში“;

**GSP+** - პრეფერენციების ზოგადი სისტემა;

**DCFTA**-ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებას.

**EIB**-ევროპის საინვესტიციო ბანკი;

**EBRD**-ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი;

**FCAP**-„ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამა“;

**UNDP**-„United Nations Development Programme“-გაეროს განვითარების პროგრამა;

**WTO**- world trade organization- მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია;

**TRIPS** -Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights-ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტები;

**FTSE**- Financial Times Stock Exchange 100 Index.

**GAFF**-„სოფლის მეურნეობის დაფინანსების პროგრამა“;

**RTS**-The Russian Trading System-რუსეთის სავაჭრო სისტემა;

**GMP**-სათანადო წარმოების პრაქტიკა-შესაბამისობის სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს ფარმაცევტული ინსპექციების კონვენცია/კოოპერაციის სქემის დირექტივების და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მოთხოვნებთან ჰარმონიზებულ უკრაინის მარეგულირებელი დოკუმენტების მიმდინარე ვერსიებთან კომპანიის შესაბამისობის დადგენას;

**FDA** - Food and Drug Administration, ამერიკული სერტიფიკატი ითვალისწინებს ძალიან ბევრ კრიტერიუმს და ამტკიცებს წარმოების ხარისხსა და ტექნოლოგიას, მისი მიღება შესაძლებელია მხოლოდ GMP სერტიფიკატის მიღების შემდგომ;

## აბსტრაქტი

ჩვენს მიერ განხილული თემა შეეხება ევროკავშირთან ქართული ბიზნესების ურთიერთობას, იმ მცდელობებს, რომელსაც ახორციელებს თითოეული კომპანია, რათა პროდუქციის პოზიციონირებით დაიმკვიდროს ადგილი როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ბაზრებზე. განვიხილეთ ევროკავშირის მიერ განხორციელებული პროექტები, საქართველოსთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რათა გაგვეგო თუ რა საფუძველი აქვს საქართველოს ამ ინსტიტუტთან. ასევე საინტერესო იყო სხვადასხვა ქვეყნების რჩევების და გამოცდილებების გაზიარება, ექსპერტების, პოლიტიკოსების და ეკონომისტების მოსაზრებები. კვლევის მიზანიც მდგომარეობდა იმაში, რომ გაგვეჩვენა რამდენად აქტიურად არიან ქართული ფინანსური სექტორის წარმომადგენლები თუ მსხვილი კომპანიები საერთაშორისო ბაზრების ათვისებაში ჩართულები და რამდენად ცდილობენ ევროინტეგრაციის პროცესში მონაწილეობას. პირველ რიგში დავინტერესდით საფინანსო, საბანკო სექტორით, რადგან ის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული სექტორია ქართულ ეკონომიკურ სივრცეში. კონკრეტულად ამ მიმართულებისთვის შეიქმნა სპეციალური კითხვარი. კონტაქტი შედგა სატელეფონო, მეილით თუ პირდაპირი კომუნიკაციის საშუალებით. ინფორმაციის მოპოვება საკმაოდ რთული აღმოჩნდა, ბევრისაგან მივიღეთ პასუხი კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით, ზოგიერთი ჩაკეტილი პოლიტიკის გამო არ გასცემდა ინფორმაციას, ხოლო ისინი ვინც უკვე ჩართულები არიან ევროინტეგრაციის პროცესში, ვინც უკვე ვაჭრობს ლოდნონის საფონდო ბირჟაზე რეგულაციების გამკაცრებით გამოირჩევიან.

ასევე გადავწყვიტეთ შეგვესწავლა ქართულ ბაზარზე აქტიური სხვა კომპანიებიც, რომლებიც გამოირჩევიან ადგილობრივ ბაზარზე, მათთვისაც შევადგინეთ სპეციალური კითხვარი რის საშუალებითაც გავიგეთ თუ რამდენ პროცენტს გაჰქონდა პროდუქცია ევროკავშირის ბაზარზე, თუ შეცვალა ასოცირების ხელშეკრულებამ გაყიდვები, რას თვლიან ევროინტეგრაციის პროცესისთვის მნიშვნელოვან სვლებად და ა.შ. კომპანიები დავყავით წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტების მიხედვით და აღმოჩნდა რომ ევროინტეგრაციის პროცესით და ევროზონაში პროდუქციის რეალიზაციით დაკავებულია ღვინის, უალკოჰოლო სასმელების, მინერალური წყლების, ჩაის

მწარმოებლები. თითოეული მწარმოებლის ჩართულობა, მათ მიმართ გატარებული რეგულაციების დაცვა, სხვადასხვა ხელშეკრულებებში აღნიშნული პუნქტების შესრულება წინგადადგმული ნაბიჯია ევროინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე.

## **Abstract**

Our discussed topic concerns the relationship between European Union and Georgian businesses, the trials which were implemented each company for inculcating its place on local market, as well as on international markets by production positioning. We discussed realized projects by European Union, agreements made with Georgia to find out what kind of basement has got our country with this institution. Also, it was interesting to share the advices and experiments by different countries, the views of experts, politicians and economists. The goal of the research was to find out how actively is involved Georgian financial sector or the large companies in assimilating international markets and how they are trying to participate in the process of European integration. In the first place we were interested in financial, banking sector, because this is one of the most developed sector in Georgian economic field. Exactly, for this direction there was created a special questionnaire. The contact was established by telephone, e-mail and direct communication tool. Getting the information appeared quite difficult, some of them delivered information for us, some of them did not distribute information because of the closed policy and because of the confidentiality. Other companies aggravated the regulation who are already involved in the process of Euro Integration process and are already trading with London stock exchange. Also, we decided to study other active companies on Georgian market, which are distinguished on local market. As well, we created special questionnaires for these companies and we find out, what was the percentage of exportation in European Union? If the association changed the sales or not? What is considered as main motion for Euro integration process? And so on. We divided the companies by the produced assortments and it appeared that by the Euro integration and selling goods in Euro zone, there are occupied some companies

who are producing wine, nonalcoholic drinks, mineral waters and tea. The involvement of each entrepreneurs, protecting the regulations and fulfilling the

### ლიტერატურის მიმოხილვა:

შესავალი ნაწილისთვის გამოვიყენეთ ევროპის კომისიის ვებგვერდი, სადაც დეტალურად არის წარმოდგენილი ევროკავშირის ფონდები, რომლებიც ეხმარება მის წევრ ქვეყნებს უკეთესი პოლიტიკური და ეკონომიკური ფონის შექმნაში.  
[http://ec.europa.eu/regional\\_policy/en/funding/](http://ec.europa.eu/regional_policy/en/funding/)

ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში აქვს საკმაოდ ინფორმაციული ვებ გვერდი, რომელიც გამოვიყენეთ ევროკავშირის მიერ საქართველოში განხორციელებული პროექტების და გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ ინფორმაციის მოსაძიებლად.

[http://eeas.europa.eu/delegations/georgia/projects/overview/index\\_ka.htm](http://eeas.europa.eu/delegations/georgia/projects/overview/index_ka.htm)

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში შემდეგი ვებ გვერდით <http://www.eu-nato.gov.ge/ge/eu/agreement> გამოვიყენეთ პარტნიორობის და თანამშრომლობის შეთანხმების შესახებ, ევროპული სამეზობლო პოლიტიკის, აღმოსავლეთის პარტნიორობის ინფორმაციების მოსაპოვებლად.

1.,„საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ გზამკვლევის, (თებერვალი, 2014) და 2.,„ასოცირების შესახებ შეთანხმებას ერთის მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის“ დავეყრდენით ასოცირების შესახებ ინფორმაციის გასაცნობად.

<http://www.mfa.gov.ge/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98>